N19/10/17

27 ოქტომბერი, 2017წ.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის დეკანს

ბატონ ირაკლი ბურდულს

ბატონო ირაკლი,

მოგესალმებით სამხრეთ კავკასიაში (სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო) გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის რეგიონალური წარმომადგენლობისა (UNHCR) და ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრის (IRC) სახელით და გვსურს მოგაწოდოთ ინფორმაცია იმიტირებული სასამართლო პროცესის შესახებ, რომელიც დაგეგმილია პროექტის „მოქალაქეობის არმქონე პირთა შემცირება და მოქალაქეობის არქონის პრევენცია საქართველოში" ფარგლებში. იმიტირებული სასამართლო პროცესი ტარდება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის თანაორგანიზებით. იმიტირებულ სასამართლოს პროცესის თემაა - მოქალაქეობისა და მოქალაქეობის არქონის საკითხები.

იმიტირებული სასამართლო პროცესის მიზანია

(1) აკადემიური დებატის წახალისება საქართველოში მოქალაქეობისა და მოქალაქეობის არქონის საკითხებზე არსებული საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის გარშემო;
(2) სტუდენტების ცნობიერების ამაღლება მოქალაქეობის უფლებაზე, მოქალაქეობის არქონასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, მის გამომწვევ მიზეზებზე, მოქალაქეობის არმქონედ დარჩენის საფრთხეებზე, მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებზე;
(3) ასევე, მონაწილეთა სასამართლო პროცესებში წარმომადგენლობის უნარ-ჩვევების განვითარების და მათ შორის კავშირების შექმნის ხელშეწყობა.

იმიტირებულ სასამართლო პროცესში მონაწილეობის მისაღებად ვიწვევთ სახელმწიფო და კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების იურიდიული და საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტის ბაკალავრიატის III-IV კურსის და მაგისტრატურის სტუდენტებს.

მონაწილეობის მსურველების (გუნდების) რეგისტრაცია დაწყებულია. აქვე წარმოგიდგენთ ღონისძიების ჩატარების გრაფიკს:

31 ოქტომბერი	გუნდების რეგისტრაციის ბოლო ვადა
1–2 ნოემბერი	გუნდების შერჩევა ზეპირი რაუნდისათვის
	შერჩეული გუნდებისათვის საქმის და შესაბამისი ინფორმაციის/მასალების მიწოდება
3 – 12 ნოემბერი	კითხვა-პასუხის რეჟიმში ინფორმაციის დაზუსტება საორგანიზაციო ჯგუფთან
13 ნოემბერი	გუნდების მიერ წერილობითი მონახაზის (პოზიციის) წარმოდგენის ბოლო ვადა
14–17 ნოემბერი	ზეპირი რაუნდისათვის მოსამზადებელი პერიოდი
18 ნოემბერი	იმიტირებული სასამართლო პროცესი და მონაწილეთა დაჯილდოება

2017 წლის 18 ნოემბერს შედგება იმიტირებულ სასამართლოს პროცესის ზეპირი ტური და მონაწილეთა დაჯილდოება, რომელსაც უმასპინძლებს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი.

იმიტირებული სასამართლო პროცესის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრის (IRC) ვებ-გვერდზე www.irc.ge და ფეისბუქ-გვერდზე. აგრეთვე, ვებ-გვერდებზე www.jobs.ge და www.work.ge

მოგმართავთ თხოვნით, რომ თქვენს სტუდენტებს მიაწოდოთ ინფორმაცია დაგეგმილი ღონისძიების შესახებ და იმედს ვიტოვებთ, რომ ისინი დაინტერესდებიან და მონაწილეობას მიიღებენ მასში. აღნიშნულ წერილს ვურთავთ პოსტერს იმიტირებული სასამართლო პროცესის შესახებ, რაც დაგეხმარებათ ინფორმაციის გავრცელებაში.

პროექტი „მოქალაქეობის არმქონე პირთა შემცირება და მოქალაქეობის არქონის პრევენცია საქართველოში" ხორციელდება 2011 წლიდან. პროექტს ახორციელებს ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრი (IRC), სამხრეთ კავკასიაში (სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო) გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის რეგიონალური წარმომადგენლობის (UNHCR) მხარდაჭერით. აღნიშნული იმიტირებული სასამართლო პროცესი რიგით მეორეა, რომელიც ტარდება პროექტის საინფორმაციო–საგანმანათლებლო კამპანიის ფარგლებში.

მადლობას გიხდით თანამშრომლობისათვის!

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით ნინო რთველაძეს (საორგანიზაციო ჯგუფი)

მობ: (+995) 577 61 41 99
ტელ: (+995 32) 2 55 20 01
ელ-ფოსტა: n.rtveladze@irc.ge